



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 40  
28/07/2017

40-04-4-201707281909



**ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალის ანგარიშის მოსმენის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალის ანგარიში თანახმად დანართი №1; №2 და №3-სა.
2. დანართი №1; №2 და №3 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

**ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2017 წლის I და II კვარტალში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიში**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2017 წლის 27 იანვრის N5, 11 მარტის N31, 29 მაისის N28, 30 ივნისის N31 ) განკარგულებით დამტკიცებული სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში I და II კვარტალში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები**, დაიხარჯა 2096 (ორი ათას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (თამაშები გაიმართა კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში და მაგიდის ჩოგბურთში, ღონისძიებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის 21 სკოლა და 180 მოსწავლე)
2. **ფრენბურთი. ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი**. დაიხარჯა 1873 (ერთი ათას ოცდასამოცდამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქედის, შუახევის, ხულოს, ბათუმის, ხელვაჩაურის და ქობულეთის ნაკრები გუნდები, ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდმა დაიკავა I ადგილი(მესამედ))
3. **ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი**. დაიხარჯა 1339 (ერთი ათას სამას ოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა 14 საჯარო სკოლის გუნდი, სულ 112 მოსწავლე. I ადგილი დაიკავა ქვ. მახუნცეთის საჯარო სკოლამ, ხოლო II და III ადგილები კი წონიარისის და ქედის სკოლის გუნდებმა).
4. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2017“-ში**, დაიხარჯა 10212 (ათი ათას ორას თორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.(ღონისძიება ითვალისწინებდა მუნიციპალურ,(ასევე მხიარულ სტარტების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის შექმნას) რეგიონალურ, დასავლეთ საქართველოს და ბოლოს ფინალურ თამაშს დასავლეთ და აღმოსავლეთში გამარჯვებულ გუნდებს შორის შეჯიბრს. ოლიმპიადა გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში და მხიარული სტარტებში. მაგიდის ჩოგბურთის გოგონათა გუნდმა მოიგო რეგიონალური თამაში (ბათუმი) და დასავლეთის ტურნირი (ქუთაისი), ასევე ფინალური თამაში მოიგო აღმოსავლეთის გუნდთან და 2018 წლის მალტის საგზური მოიპოვა, სადაც გაიმართება საერთაშორისო სასკოლო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.
5. **თავისუფალი ჭიდაობა-ქოლგიანი დელფინი**. (10 მონაწილე) დაიხარჯა 1314 (ერთი ათას სამას თოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (შედეგი არ გვაქვს).
6. **თავისუფალი ჭიდაობა-კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი**. (10 მონაწილე) დაიხარჯა 1417 (ერთი ათას ოთხას ჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (დათო ფარტენაძე I ადგილი).
7. **თავისუფალი ჭიდაობა- საქართველოს პირველობა**. (9 სპორტსმენი) . დაიხარჯა 1809 (ერთი ათას ოცდასამოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (შედეგი არ გვაქვს).
8. **თავისუფალი ჭიდაობა-გურამ ჩელებაძის სახელობის ტურნირი**. (9 მონაწილე) დაიხარჯა 773 (შვიდას სამოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი)ლარი. (თავდგირიძე ნიკა II ადგილი, აბაშიძე ნიკა III ადგილი, დიასამიძე დიეგო III ადგილი, ბერიძე ირაკლი III ადგილი,ლორთქიფანიძე ნოდარი III ადგილი).
9. **ჭადრაკი- აჭარის პირველობა (10, 14, 18) წლამდე ასაკი**. (6 მონაწილე) დაიხარჯა 1713 ერთი ათას შვიდას ცამმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.( თამთა სალაძე I ადგილი, თამუნა სალაძე II ადგილი, გიორგი ყადიძე III ადგილი,).
10. **ქედის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ნაკრები გუნდის სასწავლო-საწვრთნო შეკრება ბაკურიანში**. დაიხარჯა 4613 (ოთხი ათას ექვსას ცამმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.
11. **საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში, ჭაბუკთა და გოგონათა შორის**. (5 მონაწილე) დაიხარჯა 1536 (ერთი ათას ხუთას ოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (თამუნა სალაძე II ადგილი).

12. ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში -ქ. თბილისის მერიის თასის ტურნირი. (5 მონაწილე) დაიხარჯა 877 (რვაას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (ჯიგანაძე ბაჩუკი I ადგილი, შაშიკაძე ბაჩუკი II ადგილი, ჩხუბაძე თორნიკე III ადგილი, ნიგალიძე ნიკა III ადგილი).
13. ქედის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში- აჭარის პირველობა 2002-2003 წლიანებს შორის) დაიხარჯა 171 (ას სამოცდათერთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (ღონისძიებაში ქედის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაიკავა II ადგილი).
14. მაგიდის ჩოგბურთი-აჭარის ჩემპიონატი. (9 მონაწილე) დაიხარჯა 523 (ხუთას ოცდასამი ლარი და 00 თეთრი) ლარი.( ანრი დევაძე II ადგილი, მირანდა ანანიძე II ადგილი).
15. მაგიდის ჩოგბურთი- ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან. (9 მონაწილე) დაიხარჯა 254 (ორას ორმოცდაათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.
16. თორნიკე ღოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. (6 მონაწილე) დაიხარჯა 1458 (ერთთა ათას ოთხას ორმოცდათვრამმეტი ლარი და 00 თეთრი)ლარი. (ანრი ავჯიშვილი III ადგილი, ლინდა მახაჭაძე III ადგილი).
17. მაგიდის ჩოგბურთი-პაატა გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი. (11 მონაწილე) დაიხარჯა 2024 (ორი ათას ოცდაოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარი.(ანრი დევაძე I ადგილი, ლინდა ჩიკვაძე I ადგილი, ელზა მახაჭაძე II ადგილი, ანრი ავჯიშვილი II ადგილი, მარიამ დავითაძე III ადგილი).
18. ქართული ჭიდაობა-აჭარის პირადი/პირველობა 2001-2002წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის. (8 მონაწილე) დაიხარჯა 219 (ორას ცხრამმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.(ნოდარი ლორთქიფანიძე I ადგილი 46 კგ წონით კატეგორიაში, დიეგო მახარაძე II ადგილი 60 კგ წონით კატეგორიაში, ბექა გურგენიძე III ადგილი 60 კგ წონით კატეგორიაში).
19. ქართული ჭიდაობა-აჭარის პირადი/პირველობა 2003-2004წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის. (8 მონაწილე) დაიხარჯა 219 (ორას ცხრამმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (გიორგი ფარტენაძე I ადგილი 66 კგ წონით კატეგორიაში, ნოდარი ლორთქიფანიძე II ადგილი 46 წონით კატეგორიაში, დავით ფარტენაძე III ადგილი 40 კგ წონით კატეგორიაში, გიორგი აბაშიძე III ადგილი 50 კგ წონით კატეგორიაში).
20. ქართული ჭიდაობა-ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი.(8 მონაწილე) დაიხარჯა 230 (ორას ოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი. ბერიძე ირაკლი II ადგილი 50 კგ წონით კატეგორიაში, თავდგირიძე ლევანი II ადგილი 55 კგ წონით კატეგორიაში, ჯაბნიძე არმაზი II ადგილი 66კგ წონით კატეგორიაში,ლორთქიფანიძე ნოდარი II ადგილი 46 კგ წონით კატეგორიაში, დიასამიძე დიეგო III ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში.
21. ფეხბურთი. ა.(ა)ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში. დაიხარჯა 2463 (ორი ათას ოთხას სამოცდასამი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (17-23 მაისს ქ. ბათუმში გაიმართა აჭარის პირველობა 2005 წელში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის დაიხარჯა 1675 ლარი, ( ერთი ათასს ექვსას სამოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი). სამწუხაროდ შედეგი არ გვაქს. (ამხანაგური შეხვედრა ოზურგეთი-ქედა, ანგარიში 2-1, დაიხარჯა 438 ლარი,( ოთხას ოცდათვრამეტი ლარი და 00 თეთრი). ბათუმი-ქედა, ანგარიში 1-2-დაიხარჯა 350 ლარი ( სამას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)
22. „ახალგაზრდული ფესტივალი 2017“ (გაუთვალისწინებელი ღონისძიებები). დაიხარჯა 142 (ას ორმოცდაორი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (ღონისძიება ითვალისწინებდა მუნიციპალურ და რეგიონალურ თამაშებს (2000-2002წწ), შეჯიბრი გაიმართა კალათბურთში (ბიჭი, გოგო) ჭადრაკში (ბიჭი, გოგო), სპრინტი (გარბენი) (ბიჭი, გოგო) 60 მეტრ მანძილზე ფეხბურთში, რომლებმაც დამსახურებულად მოიგეს რეგიონალური თამაშში და გუნდმა მიიღო ერთკვრიანი საგზური ანაკლიის ბანაკის).
23. ქედის მუნიციპალიტეტის მინი ფეხბურთის მოყვარულთა გუნდის მონაწილეობა აჭარის ჩემპიონატში.(დაფინანსდა გაუთვალისწინებელი ღონისძიებებიდან) დაიხარჯა 558 (ხუთას ორმოცდათვრამმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.  
2017 წლის I და II კვარტალში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 37 732 (ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2017 წლის პირველ და მეორე კვარტალში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიში

1. პროგრამის სრული სახელწოდება:  
2017 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა
2. პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი:  
დამკვიცბულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის N 88 განკარგულებით.
3. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა;  
დაწყება - 01 იანვარი 2017 წელი  
დამთავრება - 31 დეკემბერი 2017 წელი
4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და თანამდებობის პირი:  
ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური. სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე.
5. პროგრამის შესრულების ანგარიშის რეზიუმე

2017 წლის პირველ და მეორე კვარტალში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. „საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატი ეტალონი 2016-2017 -ის ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტში და მასში შემსყიდველის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა“. დაიხარჯა 2960 (ორიათასცხრასამოცი) ლარი.
2. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2016-2017“-ის ქედის ეტალონ მოსწავლის გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსის მეორე ეტაპის გამარჯვებული მოსწავლეების დასაჩუქრება. დაიხარჯა 1000 (ერთი ათასი) ლარი.
3. „დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“. დაიხარჯა 2103,86 (ორი ათას ას სამი ლარი ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარი.
4. ქ.თბილისში დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საუნჯე“-სა და ფოლკლორულ ანსამბლ „ჩანგი“-ს მონაწილეობა. დაიხარჯა 1300 (ერთი ათას სამასი ლარი) ლარი.
5. დაუნისა და აუტიზმის საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები - განხორციელდა მიზნობრივი პროგრამის მე-13 პუნქტიდან - ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა. დაიხარჯა 177.54 (ას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათოთხმეტი თეთრი).
6. „9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. დაიხარჯა 210.10 (ორას ათი ლარი და ათი თეთრი).
7. „სიმღერისა და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა“. დაიხარჯა 1601,60 (ერთი ათას ექვსას ერთი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი.
8. დედაენის დღე. დაიხარჯა 242 (ორას ორმოცდაორი ლარი) ლარი.

9. აღდგომის ბრწინვალე დღესასწაული. დაიხარჯა 457,60 (ოთხასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცი თეთრი).
10. 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე. დაიხარჯა 462 (ოთხას სამოცდაორი) ლარი.
11. ოჯახების საერთაშორისო დღე. დაიხარჯა 1496 (ერთი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.
12. ფრიდონობა. დაიხარჯა 1016.40 (ერთი ათას თექვსმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.
13. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. დაიხარჯა 1184, 48 (ერთი ათას ას ოთხმოცდაოთხი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარი.
14. მე-10 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ექსპო ბათუმი“-ში მონაწილეობა. დაიხარჯა 1371.70 (ერთი ათას სამას სამოცდათერთმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი.
15. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. დაიხარჯა 1270.50 (ერთი ათას ორას სამოცდაათი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.
16. ანიმაციური ფილმების მე-9 საერთაშორისო ფესტივალის „თოფუზი“-ს ჩატარება. დაიხარჯა 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარი.
17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე. დაიხარჯა: 515,79 (ხუთას თხუთმეტი ლარი და სამოცდაცხრამმეტი თეთრი) ლარი.
18. ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა მე-5 რეგიონალურ კონკურსში ააიპ ქედის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა. დაიხარჯა 139.50 (ას ოცდაცხრამმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.
19. ბაირამი. დაიხარჯა 704 (შვიდას ოთხი ლარი) ლარი.
20. ლაშქრობის მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. დაიხარჯა 1278.64 (ერთი ათას ორას სამოცდათვრამმეტი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარი.
21. მოსწავლეთა ერთკვირიანი საზაფხულო ინგლისურენოვანი ბანაკის მოწყობა დაიხარჯა 3962,00 (სამი ათას ცხრაასს სამოცდაორი ლარი 00 თეთრი) ლარი.
22. მოსწავლეთა ერთკვირიანი საზაფხულო ინგლისურენოვანი ბანაკისთვის საჩუქრების შექმნა. დაიხარჯა 603 (ექვსას სამი ლარი და 00 თეთრი) ლარი.
23. ლიტერატურული ნაწარმოების „დედაო, ჩემო ქედაო“ ავტორისათვის ჰონორარის გადახდა. დაიხარჯა 4000(ოთხიათასი) ლარი.

სულ დაიხარჯა: 30756,71 (ოცდაათი ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდათერთმეტი თეთრი) ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2017 წლის I და II კვარტალში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2017 წლის 27 იანვრის N5, 11 მარტის N31, 29 მაისის N28, 30 ივნისის N31) განკარგულებით დამტკიცებული ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში I და II კვარტალში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. მუნიციპალიტეტის პირველობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის, დაიხარჯა 2963 (ორი ათას ცხრაას სამოცდასამი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 5 საჯარო სკოლის გუნდმა: ქედის, მერისის, პირველი მაისი, სოფ: მახუნცეთის და უჩხითის მხიარულთა და საზრიანთა საჯარო სკოლის გუნდებმა. პირველ და მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა (უჩხითი და პირველი მაისი) მოიპოვეს ერთდღიანი ექსკურსია სამცხე-ჯავახეთში).
2. აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის? დაიხარჯა 362 (სამას სამოცდაორი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (ვერ გავიდნენ საპრიზო ადგილებზე)
3. მხიარულ რეგიონში ქედის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა. დაიხარჯა 286 (ორას ოთხმოცდაექვსი ლარი და 00 თეთრი) ლარი. (ქედის მუნიციპალიტეტის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდი გავიდა II ადგილზე).
4. ქედის ველოსიპედისტთა კლუბის მომსახურება (დაფინანსდა თავისუფალი პროექტების დაფინანსების ხარჯებიდან). დაიხარჯა 1200 (ერთი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

2017 წლის I და II კვარტალში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 4811 (ოთხი ათას ორასი თერთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.